

საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის გეომორფოლოგიური შეფასება

ანა წიკლაური

ელ-ფოსტა: ana.tsiklauri@ens.tsu.edu.ge გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალები რომლებიც წარმოადგენს საინტერესო მხარეს გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, კლიმატური პირობებით, საინტერესოა მისი შეფასება ადგილმდებარეობის, რელიეფის ფორმების, კლიმატის, ჰიფსომეტრიული მაჩვენებლების და გეომორფოლოგიური პროცესების მიხედვით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალების გავრცელების არეალებში რელიეფის გეომორფოლოგიური შეფასება, ჰიდროგრაფიული ქსელის შესწავლა, რელიეფის ფორმების გამოყოფა იმის მიხედვით თუ სად გადის ეს მაგისტრალები და ძირითადად რომელი გეოდინამიკური პროცესები არის წამყვანი ამ ტერიტორიებზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალების გავრცელების არეალებში არსებული რელიეფი (ჰიფსომეტრიული მაჩვენებლით, ჰიდროგრაფიული ქსელით, გეოლოგიური აგებულებით და ა.შ).

საველე და კამერალური კვლევების განზოგადების შედეგად მოხდა საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალების რელიეფის შეფასება, რამაც საშუალება მომცა შემეფასებინა სარკინიგზო მაგისტრალები და მასთან დაკავშირებული რელიეფი მუნიციპალიტეტის ჭრილში. რის საფუძველზეც შეიქმნა გეომორფოლოგიური პროცესების მონაცემთა სტატისტიკური ბაზა.